დანართი №1

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში განხორციელებული
და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური
მხატვრული კერამიკა
სამაგისტრო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
სსიპ აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

შეფასების თარიღ(ებ)ი: 26.12.2025

დასკვნის წარდგენის თარიღი 20.04.2026

თბილისი

შინაარსი

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 9

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 13

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 16

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 18

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 23

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	203851545
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლეილა გრიგოლია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქათველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთ ლეკიშილი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ღაჭავა, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	მხატვრული კერამიკა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Ceramic Arts
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ხელოვნების მაგისტრი მხატვრულ კერამიკაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0214 გამოყენებითი ხელოვნება (ხელნაკეთობა)
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	125
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული N318 09.08. 2012
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა შეუძლია სტუდენტს, რომელსაც აქვს ბაკალავრის ხარისხი, ჩაბარებული აქვს თსსა მიერ წინასწარ განსაზღვრული გამოცდები : 1.სპეციალობა (კომპოზიცია) 2. უცხო ენა პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის თსსა ვებგვერდის მეშვეობით www.art.edu.ge. მოქმედებს ცხელი ხაზი

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

  აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში "მხატვრული კერამიკის" MA სასწავლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციები ფარავდა თითქმის ყველა სტანდარტს. მონიტორინგის ვიზიტის და წარმოდგენილი დოკუმენტების გათვალისწინებით აპოლონ ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში მხატვრული კერამიკის MA სასწავლო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა არაერთი ცვლილება, რომელიც დადებითად აისახა პროგრამის შედეგებზე. ფაკულტეტმა შეიძინა დამატებითი მაღალ ტემპერატურაზე გამოსაწვავი ღუმელი, რამდენიმე ჩარხი, კომპიუტერები და სხვა წვრილი ინვენტარი. მოხდა ასევე ძირითადი ლიტერატურის განახლება; ასევე გაფორმდა დამატებით მემორანდუმები და განხორციელდა საერთაშორისო აქტივობები Erasmus+ პროგრამით სადაც აქტიურად იყვნენ ჩართული როგორც აკადემიური პერსონალი ასევე სტუდენტები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

  აპოლონ ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში მხატვრული კერამიკის MA სასწავლო პროგრამის მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრა სასწავლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებმა. ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა და დადასტურდა წინასწარ გაზიარებულ დოკუმენტებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციები. სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელების და პროცესში ჩართულ სხვა პირთა მხრიდან სრულად გათვალისწინებული იქნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  სამხატვრო აკადამიაში მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული სესიების გათვალისწინებით და აკადემიის მიერ გაზიარებული დოკუმენტების შესწავლის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყდნობით მხატვრული კერამიკის MA საფეხურის სასწავლო პროგრამა შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელის (აკადემიური განათლების სტანდარტი) მოთხოვნებს თუმცა 3.1 სტანდარტში მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ჯგუფმა გასცა სამი რეკომენდაცია "რეკომენდებულია, აკადემიამ გააძლიეროს მუშაობა სტუდენტების ცნობიერების ასამაღლებლად აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატთან დაკავშირებით." "რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა ყველა სტუდენტისთვის უზრუნველყოს კორპორატიული (საუნივერსიტეტო) ელექტრონული ფოსტის შექმნა და მისი გამოყენება ოფიციალური კომუნიკაციისთვის. ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ინფორმაციის მიწოდების უსაფრთხოებასა და ეფექტიანობას." "რეკომენდებულია, აკადემიამ აამაღლოს სამაგისტრო საფეხურის სტუდენტების ცნობიერება სამეცნიერო ბაზების მნიშვნელობისა და გამოყენების შესახებ." და შეფასდა მეტ-წილად შესაბამისობაში.

  ასევე სტანდარტ 5.1-ში გაიცა რჩევა "სასურველია გაგრძელდეს მუშაობა ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზი უფრო მეტად ინდივიდუალური პროგრამის დონეზე დიფერენცირებისათვის."

- **რეკომენდაციები**

  3.1

- რეკომენდებულია, აკადემიამ გააძლიეროს მუშაობა სტუდენტების ცნობიერების ასამაღლებლად აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატთან დაკავშირებით.

- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა ყველა სტუდენტისთვის უზრუნველყოს კორპორატიული (საუნივერსიტეტო) ელექტრონული ფოსტის შექმნა და მისი გამოყენება ოფიციალური კომუნიკაციისთვის. ეს მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს ინფორმაციის მიწოდების უსაფრთხოებასა და ეფექტიანობას.

- რეკომენდებულია, აკადემიამ აამაღლოს სამაგისტრო საფეხურის სტუდენტების ცნობიერება სამეცნიერო ბაზების მნიშვნელობისა და გამოყენების შესახებ.

- **რჩევები**

5.1

- სასურველია გაგრძელდეს მუშაობა ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზი უფრო მეტად ინდივიდუალური პროგრამის დონეზე დიფერენცირებისათვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად,** მაგალითად:

  - **პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები** – სამხატვრო აკადემიის მიერ გაზიარებულ დოკუმენტებში, კერძოდ MA 014 დანართში წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის მეორე საფეხურზე ჩართული აკადემიური პერსონალის და მოწვეული პედაგოგების CV-ები, მათი დატვირთვები განათლების საფეხურის და სემესტრის მიხედვით. აღნიშნულ დოკუმენტებზე დაყრდნობით მხატვრული კერამიკის ფაკულტეტზე, მაგისტრატურის საფეხურზე 4 აკადემიური პერსონალი და 7 მოწვეული პედაგოგი წარმართავს სასწავლო პროცესს. მათგან ოთხს აქვს დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხი, ასოცირებული პროფესორია სამი, ხოლო ერთი სამეცნიერო, აფილირებული აკადემიური პერსონალი.

  - **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** – თსს აკადემიის საერთაშორისო აქტივობებს შორის არის თსს აკადემიასა და ზალცბურგის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ერასმუს ინსტიტუციური ხელშეკრულების ფარგლებში დიზაინ კვირეულში მონაწილეობა სხვა საერთაშორისო უნივერსიტეტებთან ერთად, როგორიც არის; Hochschule für Technik Stuttgart, გერმანია, Technical University Brno, ჩეხეთი, Bahecesir University Istanbul, თურქეთი. პროექტი წარმოადგენდა თსსა დიზაინის ფაკულტეტზე განხორციელებული გაცვლითი პროექტის მეორე ეტაპს. პირველი ეტაპი მოიცავდა ზალცბურგის უნივერსიტეტის 36 სტუდენტისა და 3 პროფესორისგან შემდგარი ჯგუფის ერთობლივი ვორქშოფების სერიას დიზაინის ფაკულტეტზე, ქართველი სტუდენტებისა და პროფესორების მონაწილეობით, ხოლო მეორე ეტაპი კი თსსა, 5 აკადემიური/ ადმინისტრაციული პერსონალის და 12 სტუდენტისგან შემდგარი ჯგუფის მონაწილეობას საერთაშორისო დიზაინ კვირეულში

  - **აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი**

მაგისტრანტების თანაფარდობა აკადემიურ პერსონალთან არის 1 % და მოწვეულ პერსონალთან 1.75%. აკადემიური პერსონალის დენადობის პროცენტული მაჩვენებელი: დენადობა 25%, შენარჩუნება 75%. მოწვეული პეროსნალის შემთხვევაში, 25 % და შენარჩუნება 75%.

- **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები**
  დოკუმენტები აჩვენებს, რომ პროგრამაზე სტუდენტთა რიცხვი იზრდება.

- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[4]

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

დადგენილი პროტოკოლის მიხედვით ვიზიტის დროს ფასდება არსებულ მოცემულობა, აქედან გამომდინარე მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის პროცესში, სესიების მსვლელობისას გამოიკვეთა ელ-ფოსტებთან მიმართებაში ის ფაქტობრივი ინფორმაცია, რამაც განაპირობა 3.1 კომპონენტში რეკომენდაციის გაცემა. ანალოგიური სურათია დანარჩენ ორ რეკომენდაციასთან მიმართებაშიც, სტუდენტებმა ვერ შეძლეს ვერც აკადემიური კეთილსინდისიერებასა და პლაგიატზე საუბარი ასევე ვერც სამეცნიერო ბაზებზე.

ზემოთ გაზიარებული იფორმაციიდან გამომდინარე არსებული რეკომენდაციები რჩება უცვლელად.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

[4] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	აირჩიეთ შესაბამისი
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	აირჩიეთ შესაბამისი
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	აირჩიეთ შესაბამისი
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია
2.4	სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	აირჩიეთ შესაბამისი
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	მეტ-წილად შესაბამისობაშია
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	აირჩიეთ შესაბამისი
4.1	ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია
4.2	მაგისტრანტისა ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია
4.4	მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია
5	**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	აირჩიეთ შესაბამისი
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5.2	გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები]
[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო]
[რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე]
[შეფასების კრიტერიუმები]

განმარტებები:

[რეკომენდაციები -]

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1.

კლასტერის საერთო რეკომენდაცია, რეკომენდებულია სადისციპლინათაშორისო მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების ერთობლივი მუშაობის უნარს და რაციონალურად იყენებს სასწავლო რესურსებს. საერთო მიზნების მისაღწევად აუცილებელია სტუდენტების საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების და ასევე ფაკულტეტის პერსონალის მობილობის გაფართოება.

1.2

კლასტერის საერთო რეკომენდაცია, რეკომენდებულია უცხო ენების ცოდნის გაუმჯობესება და ტექნიკური ბაზის განვითარება სფეროში გამოყენებული უახლესი ტექნოლოგიების ჩართვით.

პროგრამა 2 (მხატვრული კერამიკა, მაგისტრატურა) გაგრძელდეს ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

1.3

კლასტერის საერთო რეკომენდაცია, რეკომენდებულია შემუშავდეს ინდივიდუალური გეგმები პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის, გამოვლინდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კონკრეტული პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები, შესაბამისი სამიზნე ნიშნულებით და საბოლოო შეფასებით.

გადაიხედოს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სასწავლო გეგმის რუკები, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის ყველა სწავლის შედეგის განვითარება სამ დონეზე და სწავლის შედეგების მიღწევის დონე ლოგიკურად გაიზრდოს.

1.4

კლასტერის საერთო რეკომენდაცია, რეკომენდებულია კრედიტების საერთო რაოდენობა ნაწილდება დარგობრივი პრიორიტეტებისა და პროგრამის მიზნების მიხედვით, მაგრამ შინაარსი უნდა იყოს ადაპტირებული ისე რომ პასუხობდეს უფრო თანამედროვე ტექნოლოგიების, პრეზენტაციის მეთოდების და სპეციალიზაციის შესაბამისი უცხო ენის ცოდნის უნარების შემოტანის საჭიროებას.

1.5

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

1. ახალი უცხოენოვანი პუბლიკაციების დამატება ძირითად საგნებში.

2. გაძლიერდეს და გამოიკვეთოს საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული ნაწილი.

3. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სახელოსნოები საჭიროებს უფრო თანამედროვე მასალებით აღჭურვას.

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.2.

კლასტერის საერთო რეკომენდაცია, რეკომენდებულია სტუდენტებმა უნდა მიიღონ ინფორმაცია ვორქშოფების, კრეატიული პროექტების და შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებითი აქტივობების შესახებ ფაკულტეტის ელ. ფოსტის საშუალებით.

ხელი მოეწეროს დეტალურ მემორანდუმებს სტუდენტებისთვის, სტაჟირების ობიექტებთან და დამსაქმებლებთან სტაჟირების გავლის თაობაზე.

რეგულარულად ჩატარდეს კურსდამთავრებულთა გამოკითხვები პროგრამის გასაუმჯობესებლად შედეგების გასაანალიზებლად.

2.3.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: რეკომენდებულია მეტი მხარდაჭერა და ფინანსური რესურსების მოძიება, რათა ხელი შეეწყოს პედაგოგთა მობილობას და მეტი შესაძლებლობების შექმნას მოწვეული ლექტორების მოსაწვევად, რაც დაემატება გამოყენებული მეთოდების დიაპაზონს. მიზანშეწონილი იქნება სტუდიების/სახელოსნოების ციფრული ეკრანებით უზრუნველყოფა, რათა პედაგოგებმა სტუდენტებისთვის ლექციები თანამედროვე და ადვილად გასაგები ფორმით წარადგინონ.

2.4.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

1. 1როგორც საბოლოო შეფასების ნაწილი, სტუდენტის განვითარება უნდა გაანალიზდეს სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს პარალელურად, რაც პოზიტიურ გავლენას იქონიებს შედეგებზე.

2. სტუდენტებთან ინტერვიუს დროს, აღინიშნა, რომ შეფასებების შემდეგ, მათ არ მიეწოდებათ დეტალური ახსნა, თუ რატომ ვერ ჩააბარეს.

3. ასევე, სტუდენტებთან გასაუბრებისას გავარკვიეთ, რომ ქულასთან დაკავშირებული გასაჩივრების პროცესი მათთვის ბუნდოვანია.

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

1. ვინაიდან კლასტერში შემავალი პროგრამები, ძირითადად, პრაქტიკული კურსებია, სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ წვდომა შესაბამისი ხარისხისა და რაოდენობის ინსტრუმენტებზე და დანადგარებზე, რომელიც აკადემიამ უნდა უზრუნველყოს.

2. აკადემიამ უნდა დაფაროს სტუდენტებისთვის საჭირო კომპიუტერული პროგრამების ხარჯები. სტუდენტებს აქვთ სწავლის პროცესის დივერსიფიკაციის მცირე შესაძლებლობა, რადგან მათ ექსპერიმენტებისთვის შეზღუდული რესურსები აქვთ. ამ მიზეზით, ეს რესურსები გამოიყენება მხოლოდ დიდი მნიშვნელობის მქონე პროექტებისთვის როგორიცაა საბაკალავრო ან სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო პროექტი და ა.შ.

3. იმის გამო, რომ სტუდენტების მხოლოდ მინიმალური რაოდენობა მონაწილეობს საერთაშორისო (გაცვლითი პროგრამები) და ადგილობრივ პროექტებში (საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და სხვა), აუცილებელია აკადემიამ კიდევ უფრო წაახალისოს სტუდენტები და აამაღლოს მათი ცნობიერების დონე, მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობის მაჩვენებლის გაზრდის მიზნით.

4. აკადემიამ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს პოლიტიკა, რომლითაც მხარს დაუჭერს უცხოელი სტუდენტების სწრაფ ინტეგრაციას. მაგალითად, აკადემიაში შესაძლებელია

„ტუტორთა სკოლის“ შემოღება, რომლის მიზანია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების ინტეგრაციის ხელშეწყობა და ახალგაზრდებში ტოლერანტული გარემოს გაძლიერება. ამ პროცესში ჩართული არიან როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სტუდენტები, თუმცა აკადემიური პერსონალიც უნდა იყოს პასუხისმგებელი.

3.2.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

1. მნიშვნელოვანია უცხოური წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორების აქტიური ჩართვა სასწავლო პროცესში, რის შედეგადაც აკადემიის სტუდენტებისთვის ახალი პერსპექტივები გაიხსნება. გარდა ამისა, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაძლიერებას და საერთაშორისო (პარტნიორ) უნივერსიტეტებთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას.

2. ბოლო 5 წლის განმავლობაში, არ არის აღრიცხული სტუდენტების ჩართვა კონფერენციებსა და საგრანტო კონკურსებში, რომელიც უზრუნველყოფს მათი პროექტების დაფინანსებას. გაცვლითი პროგრამები დაინტერესებული სტუდენტების რაოდენობა ასევე მინიმალურია.

ამიტომ აუცილებელია, აკადემიამ კიდევ უფრო წაახალისოს სტუდენტები და აამაღლოს ცნობიერების დონე, რათა გაიზარდოს მათი მონაწილეობა მსგავს კონკურსებში.

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

4.1.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები;

1. საჭიროა სტუდენტებისა და მოწვეული ლექტორების მეტი ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში.

2. კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სემინარები უზრუნველყოფილი უნდა იყოს მასალებითა და ინსტრუმენტებით ისე, რომ არ შეფერხდეს სტუდენტის პრაქტიკული სასწავლო პროცესი.

4.2.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი საერთაშორისო პროექტებში (გამოფენები, ბიენალები, ვორქშოპები და ა.შ.) .

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებმა უნდა უზრუნველყონ სასწავლო პროცესის წარმართვა სწავლების მეთოდების თანამედროვე ტენდენციებით.

საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებმა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, უნდა შეარჩიონ შესაბამისი კვლევის, სწავლების მეთოდი.

4.3.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

პროგრამის განვითარების ხელშესაწყობად ჩატარდეს აკადემიური/ინოვაციური სასწავლო ტრენინგები მოწვეული/აკადემიური პერსონალისთვის.

რეგულარულად ჩატარდეს პერსონალის გამოკითხვები და ანალიზი, რათა ხელი შეეწყოს პროგრამის განვითარებას.

მოწვეულ/აკადემიურ პერსონალს უნივერსიტეტის შიდა სიახლეების, აქტივობებისა და შესაძლებლობების შესახებ აკადემიის ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაეგზავნოს წერილობითი ინფორმაცია.

4.4.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

სილაბუსებში მითითებული წიგნები ხელმისაწვდომი გახდეს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში.

4.5.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

დეტალურად გაწერილი ბიუჯეტები უნდა შეიცავდეს ხარჯების ჩამონათვალს ცალ-ცალკე, თითოეული პროგრამისთვის: რამდენი დაიხარჯა ლიცენზირებულ პროგრამულ უზრუნველყოფაზე, ტრენინგის ხარჯები უფრო დეტალურად უნდა გაიწეროს და ა.შ.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი

5.1.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

უზრუნველყოფილ იქნეს ხარისხის კულტურის ჩამოყალიბება და პროგრამის პერსონალის ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში.

5.3.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაზრდა პროგრამების შეფასებაში და შედეგების ანალიზის უზრუნველყოფა ინდივიდუალური პროგრამის დონეზე.

1. ასევე შესაძლებელია დაეამატოს ინფორმაცია ბოლო პერიოდის სტუდენტთა მიღების სტატისტიკასთან დაკავშირებით. ეს დაგეხმარებათ ტენდენციების გაანალიზებაში, მაგალითად, რამდენად პოპულარულია პროგრამები აბიტურიენტებში. თუ კონკრეტულ პროგრამაზე კონკურენცია დაბალია, არსებობს შესაძლებლობა, რომ

რეაგირება მოახდინოთ დაგეგმილი საჯარო აქტივობებით, რათა გაიზარდოს მსურველთა რაოდენობა და მიღებულ სტუდენტთა შემოქმედებითი ხარისხი.

2. თვითშეფასების ანგარიშს აკლია ანალიტიკური ინფორმაცია იმ სტუდენტების შესახებ, რომელთაც მიატოვეს სწავლა და ასევე ინფორმაცია, თუ რატომ შეწყვიტეს სწავლა. გამოკითხვის ჩატარება ხელს შეუწყობს მომავალში ზოგიერთი მიზეზის გაანალიზებას და თავიდან აცილებას.

3. თვითშეფასების ანგარიშში არის ინფორმაცია არჩეული სასწავლო პერსონალის შესახებ (CV). სიტუაციის უკეთ გასაგებად, დოკუმენტს აკლია ინფორმაცია მომდევნო ვადით ხელახალი არჩევისთვის საჭირო აქტივობების შესახებ. მაგალითად, საერთაშორისო მობილობა, სემინარები, კურსები, კრეატიული პროექტები, რეზიდენტურებში მონაწილეობა, სიმპოზიუმები. სწავლების ენა ქართულია, მაგრამ საერთაშორისო მობილუობისთვის და ჩამოსული სტუდენტებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კურსებისა და ლექციების ჩატარებისთვის საჭიროა უცხო ენების გამოყენება. არსებობს ამ უნარების შეფასების მექანიზმი? წინა აკრედიტაციის ჯგუფმა ხაზი გაუსვა პრობლემებს უცხო ენების ცოდნის დონესთან დაკავშირებით.

4. სტუდენტებისა და პერსონალის მობილობის მაჩვენებელი ძალიან დაბალია. ადმინისტრაციამ უნდა მოძებნოს გზები, რათა შექმნას მდგრადი ფინანსური ბაზა

სტუდენტებისა და პერსონალის მხარდაჭერისთვის საერთაშორისო კონტაქტების შესაქმნელად და ცოდნის შესაძენად.

5. ყველა პროგრამის ტექნიკური ბაზა უნდა განახლდეს და გაუმჯობესდეს. მინისა და ლითონის პროგრამებში არსებული ხელსაწყოები და აღჭურვილობა ვერ დააკმაყოფილებს სრულ სასწავლო პროცესს. ლითონის პროგრამის სახელოსნოს აქვს ძალიან კომპაქტური სივრცე, მიზანშეწონილია, რომ ჰქონდეს უფრო დიდი ოთახი, უფრო უსაფრთხო და პროდუქტიული სამუშაოსთვის. მიუხედავად იმისა, რომ აკადემია დიდ ძალისხმევას იჩენს ძირითადი შენობის, ბიბლიოთეკის და ა.შ. აღდგენისთვის, საჭიროა ფინანსური რესურსების მოძიება ტექნიკური მხარდაჭერის გასაუმჯობესებლად უახლესი ხელსაწყოებით და მანქანებით.

6. აკადემიამ, როგორც სახელმწიფო დაწესებულებამ, უნდა უზრუნველყოს ყველა საჭირო კომპიუტერული პროგრამა სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებისთვის.

რჩევები -

1.1.

საერთო რჩევა დიზაინის კომპონენტის გაძლიერება კლასტერში გაერთიანებულ ყველა პროგრამაში.

რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 2 (მხატვრული კერამიკა, მაგისტრატურა)

შესაძლებელია დისციპლინათაშორისობის გაძლიერება სხვადასხვა მასალის კომბინაციით და ძლიერი საერთაშორისო ბრენდების შექმნაზე ფოკუსირებით.

1.3

საერთო რჩევები: პროგრამის პერსონალში, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შესახებ, ინფორმირებულობის დონის ამაღლება.

2.4.

საერთო რჩევები:

1. რჩევაა, შეფასების პროცესი გახდეს უფრო გამჭვირვალე სტუდენტებისთვის.

2. რელევანტური იქნება, თუკი სტუდენტები, მათი ხელმძღვანელისგან, დროულად მიიღებენ შეფასებასთან დაკავშირებულ უკუკავშირს.

4.2.

საერთო რჩევები:

აქტუალური იქნება, თუ ხელმძღვანელები სტუდენტებთან ერთად განიხილავენ სწავლების თანამედროვე მეთოდებს და მათი ჩართულობით სამაგისტრო პროგრამაში დაინერგება სწავლების თანამედროვე მეთოდები.

5.2.

საერთო რჩევები: წახალისდეს უფრო დეტალური და საფუძვლიანი გარე კოლეგიალური რეცენზირება პროგრამის განვითარებისთვის. შესაძლოა ხელსაყრელი აღმოჩნდეს, კოლეგიალური შეფასებისა და კომუნიკაციისთვის სპეციალურად შემუშავებული ფორმა.

5.3.

საერთო რჩევები: პროგრამების შესახებ ღირებული ინფორმაციის მისაღებად, დაინტერესებულ მხარეებთან და მათ შორის ფოკუს ჯგუფების, დიალოგის, დისკუსიებისა და მრგვალი მაგიდების შემდგომი წახალისება და გაძლიერება .

1. სწავლის შესაძლებლობების შესახებ მეტი ინტერესის მოსაზიდად საჭიროა ვებგვერდის (ინგლისური ვერსია) ინფორმაციის და ვიზუალური მასალის ხარისხის რეგულარული განახლება.

2. ჯგუფი გაეცნო საბაკალავრო და სამაგისტრო სადიპლომო ნამუშევრების ვიზუალურ პრეზენტაციას. პრეზენტაციების ხარისხი შეიძლება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს, რასაც ხელს შეუწყობს დისციპლინათაშორისი თანამშრომლობის პროექტები აკადემიის სხვადასხვა პროგრამებსა და სხვა დეპარტამენტებს შორის (მაგალითად, ფოტოები, ახალი მედია და ა.შ.).

3. სტუდენტების წახალისება საერთაშორისო დონეზე უფრო ამბიციური მიზნების დასახვის მიზნით.

4. გაგრძელდეს პროგრამების შინაარსის განვითარება ბაზრის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახ. სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მხატვრული კერამიკის" საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამებზე ძირითადად გაცემული არის კლასტერული რეკომენდაციები. სამხატვრო აკადემიის სამუშაო ჯგუფმა მოცემული რეკომენდაციები მაქსიმალურად გაითვალისწინეს და მხატვრული კერამიკის ორივე საფეხურთან მიმართებაში შეასრულეს შესაბამისი სამუშაოები, რაც რეკომენდაციებით იყო გათვალისწინებული. რეკომენდაციებიდან გამომდინარე ჩატარებული სამუშაოებით ორივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები და სწავლის შედეგები ლოგიკურადა დაუკავშირდა ერთმანეთს, პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები, პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას განახლდა ფაკულტეტის ინვენტარი, სტუდენტების მოთხოვნიტ გაიზარდა პრაქტიკული სამუშაო საათები, განახლდა და დაიდო ახალი მემორანდუმები, რომელიც უზრუნველყოფს, როგორც სტუდენტების პროფესიულ სტაჟირებას ასევე შემოქმედებით განვითარებაში ხელშეწყობას. განახლდა ძირითადი სასწავლო მასალა და ძირითად ლიტერატურას დაემატა ინგლისურ ენოვანი სახელმძღვანელო, რომელის ფაკულტერის მიერ მოწვეულმა უცხოელმა ლექტორმა შეადგენა ოთხწლიანი მუშაობის შედეგას. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით მხატვრული კერამიკის მაგისტრატურის საფეხური შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტანადარტში 1.1 აკრედიტაციის კომისიას მოცემული აქვს საერთო რეკომენდაცია "რეკომენდებულია სადისციპლინათაშორისო მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების ერთობლივი მუშაობის უნარს და რაციონალურად იყენებს სასწავლო რესურსებს. საერთო მიზნების მისაღწევად აუცილებელია სტუდენტების საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების და ასევე ფაკულტეტის პერსონალის მობილობის გაფართოება.", რომელიც განკუთვნილია სასწავლო პროგრამის "კერამიკის ხელოვნება", როგორც ბაკარავრიატის პროგრამის საფეხურისთვის ასევე მაგისტარტურისთვის. წარმოდგენილ დოკუმენტში MA 011 და MA 012 დეტალურად მოცემულია, საერთაშორისო, Erasmus + და ადგილობრივი აქტივობები, ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია დადასტურდა. რეკომენდაციის აღნიშნულ ნაწილში ინფორმაცია დასტურდება მონიტორინგის ვიზიტის შედეგად, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პედაგოგებთან და სტუდენტებთან ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაციით. რეკომენდაციის პერველ ნაწილში "რეკომენდებულია სადისციპლინათაშორისო მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს

სტუდენტების ერთობლივი მუშაობის უნარს და რაციონალურად იყენებს სასწავლო რესურსებს." ინტერვიუების მიმდინარეობისას არაერთგზის აღინიშნა, რომ მიმდინარე სასწავლო პროცესი და მასთან დაკავშირებული სწავლების მეთოდოლოგია, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების გუნდური მუშაობის უნარების გააქტიურებას და მაქსიმალურად მიმართულია სასწავლო რესურსების სრული დატვირთვით გამოყენებისკენ, არის უწყვეტი ინტერდისციპლინარული პროცესი, სადაც ხემძღვანელის ჩართულობა და მჭიდრო კომუნიკაცია, როგორც თეურიული ისე პრაქტიკული კუთხით უწყვეტად მიმდინარეობს და რიგ შემთხევაში სილაბუსიდან და სასწავლო გეგმიდან გამომდინარე მიმართულია გუნდური აქტივობისკენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- MA 011, MA 012;
- ინტერვიუების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სასწავლო სილაბუსები;
- [რეკომენდაციები]
- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში აღნიშნულ სტანდარტთან 1.2 აკრედიტაციის საბჭომ გასცა კლასტერული როკომენდაცია; "რეკომენდებულია უცხო ენების ცოდნის გაუმჯობესება და ტექნიკური ბაზის განვითარება სფეროში გამოყენებული უახლესი ტექნოლოგიების ჩართვით" და ცალკეული რეკომენდაცია სამაგისტრო საფეხურთან მიმართებაში "გაგრძელდეს ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება". მოცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, სამხატვრო აკადემიამ ორივე პროგრამასთან მიმართებაში წარმოადგინა შესყიდვების სია და მასთან დაკვაშირებული დოკუმენტები; მიღება-ჩაბარების აქტი, ხელშეკრულებები და სხვა, რომლებიც მოთავსებულია ფაილში დასახელებით "დანართი 018 - შესყიდვები" და MA -შესრულებული რეკომენდაციები - MA პროგრამული რეკომენდაციები - "პასუხები პროგრამული აკრედიტაციის რეკომენდაციებზე". წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციით ირკვევა რომ ფაკულტეტმა საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამების განვითარებისთვის შეიძინა ერთი მაღალტემპერატურიანი თიხის გამოსაწვავი ელექტრო ღუმელი, ოთხი ცალი თიხის ამომყვანი ჩარხი და სხვა წვრილმანები.

კლასტერული რეკომენდაციის პირველი ნაწილი, რომელიც უცხო ენების ცოდნის გაუმჯობესებას უკავშირდება სამხატვრო აკადემიამ წარმოადგინა დოკუმენტაციები, თეორიული სემესტრული დატვირთვა, სადაც მოცემულია უცხო ენების გაზრდილი საათობრივი დატავირთვა საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამების. წარმოდგენილ თეორიულ სემესტრულ დატვირთვაში მაგისტრატურის სასწავლო საფეხურზე მხოლოდ პირველ კურსზე ისწავლება უცხო ენა და ჯამში სასწავლო საათების რაოდენობა 60 საათია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დანართი 018 - შესყიდვები;
- MA პროგრამული რეკომენდაციები;
- MA - დატვირთვა (I, II სემესტრი);
- MA- 05 დანართი;
- პროგრამის სილაბუსები;
- ინტერვიუების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში სწავლის შედეგების შეფასების პროცესი ეფუძნება უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებულ მეთოდოლოგიას. მეთოდოლოგია ფოკუსირებულია შეფასების ორ ძირითად მეთოდზე:

- **პირდაპირი მეთოდები:** რომელიც გულისხმობს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს უშუალოდ სასწავლო კურსების ფარგლებში (შუალედური და დასკვნითი გამოცდები/პროექტები და სხვა კომპონენტები).
- **არაპირდაპირი მეთოდები:** რომელიც ორიენტირებულია გარე დაინტერესებული მხარეების უკუკავშირზე, როგორიცაა კურსდამთავრებულთა დასაქმება და დამსაქმებელთა გამოკითხვა.

სწავლის შედეგების მეთოდოლოგიის მიხედვით, განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები, რომლებიც შესაბამისობაშია არსებული მეთოლოგიის მიდგომებთან.

არსებული მეთოდოლოგიის მიხედვით, სწავლის შედეგების მიღწევის ანალიზი ხორციელდება რეგულარულად. შეფასების შედეგების საფუძველზე ხდება პროგრამის შინაარსობრივი კორექტირება. პროცესში ჩართულია აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და გარე აქტორები (დამსაქმებლები). ეს უზრუნველყოფს, რომ სწავლის შედეგები იყოს აქტუალური, შინაარსობრივად მდგრადი და თანხვედრაში იყოს პროგრამის მიზნებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია, რომ მეთოდოლოგიის შესაბამისად აკადემიაში დანერგილი მოდელი სწავლის შედეგების შეფასებას განიხილავს არა როგორც ერთჯერად აქტს, არამედ როგორც უწყვეტ ციკლს. შეფასების გეგმა სტრუქტურირებულია სემესტრული კალენდრის მიხედვით, სადაც თითოეული ეტაპი კონტროლდება შესაბამისი ინსტრუმენტებით.

- **მიმდინარე შეფასება (კვირა 1–14):** აქცენტი კეთდება ფორმატულ შეფასებაზე და უკუკავშირზე.
- **შემაჯამებელი შეფასება (კვირა 15–18):** ხდება კომპლექსური შედეგების შეფასება (ანალიზი, სინთეზი, შემოქმედება). სტუდენტი წარადგენს საბოლოო პროექტს, რომელიც აერთიანებს კურსის განმავლობაში შეძენილ ყველა კომპეტენციას.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია ინდივიდუალური გეგმები პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების შესაფასებლად. ასევე, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „სწავლის შედეგების შეფასება, აკადემიური მოსწრების შეფასების მექანიზმები და შედეგების ანალიზი“;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინდიკატორები;
- დამატებით მოთხოვნილი და მოწოდებული დოკუმენტები.

[რეკომენდაციები]

–

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

–

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტანდარტის 1.4 კლასტერის საერთო რეკომენდაცია, "რეკომენდებულია კრედიტების საერთო რაოდენობა ნაწილდება დარგობრივი პრიორიტეტებისა და პროგრამის მიზნების მიხედვით, მაგრამ შინაარსი უნდა იყოს ადაპტირებული ისე რომ პასუხობდეს უფრო თანამედროვე ტექნოლოგიების, პრეზენტაციის მეთოდების და სპეციალიზაციის შესაბამისი უცხო ენის ცოდნის უნარების შემოტანის საჭიროებას". მოცემულ რეკომენდაციებთან მიმართებში მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუების შედეგად და სამხატვრო აკადემიის მიერ გადმოგზავნინილი დოკუმენტებით დასტურდება რეკომენდაციის სრული გათვალისწინება და შესაბამისი ქმედითი სამუშაოების ჩატარება. სტუდენტების მოთხოვნით სასწავლო პროგრამის საბაკარავრო საფეხურზე გაიზარდა პრაქტიკული საათების რაოდენობა. ხოლო თანამედროვე ტექნოლოგიების ნაწილში, შეიძინეს ელექტრო ღუმელი, რომელიც მაღალგრადუსიანი თიხის გამოწვას უზრუნველყოფს, დაიმატეს 4 თიხის ამოსაყვანი ჩარხი. შესყიდულ ინვენტართან დაკვაშირებული დოკუმენტები; მიღება-ჩაბარების აქტი, ხელშეკრულებები; მოთავსებულია ფაილში MA 021 დასახელებით "დანართი 018 - შესყიდვები". უცხო ენის გაძლიერების თვალსაზრისით ინტერვიუებში აღინიშნა და დადსტურდა, რომ კრედიტების რაოდენობა უცხო ენებთან მიმართებაში გაიზარდა და სილაბუსებში დამატებით ლიტერატურაში დაემატა რამდენიმე ახალი წიგნი, მათ შორის MA 015 დანართში წარმოდგენილია დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მხ. კერამიკის მიმართულებაზე, მიმართულების პროფესორის, მიერ შექმნილი ინგლისურ

ენოვანი 300 გვერდიანი წიგნის გამოცემას მხატვრული კერამიკის და მინი დამუშავების ტექნოლოგიების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- MA პროგრამული რეკომენდაციები;
- MA 015 - დანართი;
- MA 021;
- დანართი 018 - შესყიდვები;ინტერვიუების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[1.4] საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტანდარტში 1.5 მოცემულია კლასტერის საერთო რეკომენდაციები; "ახალი უცხოენოვანი პუბლიკაციების დამატება ძირითად საგნებში; გაძლიერდეს და გამოიკვეთოს

საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული ნაწილი; კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სახელოსნოები საჭიროებს უფრო თანამედროვე მასალებით აღჭურვას". რეკომენდაციის პირველ ნაწილის გათვალისწინებით სამხატვრო აკადემიის მხატვრული კერამიკის ფაკულტეტის სასწავლო პროგრამას ძირითად საგნად დაემატა მიმართულების პროფესორის მიერ შექმნილი ინგლისურენოვანი, 300 გვერდიანი წიგნი, მხატვრული კერამიკის და მინის დამუშავების ტექნოლოგიების შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკულ ნაწილში მოხდა პრაქტიკული საათების გაზრდა, ხოლო სახელოსნოების თანამედროვე მასალებით აღჭურვის ნაწილში აკადემიამ ორივე პროგრამასთან მიმართებაში წარმოადგინა შესყიდვების სია და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები; მიღება-ჩაბარების აქტი, ხელშეკრულებები და სხვა, რომლებიც მოთავსებულია ფაილში დასახელებით "დანართი 018 - შესყიდვები" და MA -შესრულებული რეკომენდაციები - MA პროგრამული რეკომენდაციები - "პასუხები პროგრამული აკრედიტაციის რეკომენდაციებზე". მოცემულ დოკუმენტებზე და მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუბზე დაყრდნობით სტანდარტთან 1.5 მიმართებით გაცემული რეკომენდაციები სრულად გაითვალისწინა მხატვრული კერამიკის ორივე საფეხურის სასწავლო პროგრამებზე მომუშავე გუნდმა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- MA 021 დანართი 018 - შესყიდვები;
- MA პროგრამული რეკომენდაციები;
- ინტერვიუების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- დანართი 09 - დატვირთვა (I, II სემესტრი)
- პროგრამის სილაბუსები;

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მხატვრული კერამიკის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ორიენტირებულია მაღალი დონის პროფესიული კომპეტენციებისა და კვლევითი უნარების მქონე პირების შერჩევაზე. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებს. მიღების პროცესი გამჭვირვალეა და სრულად შეესაბამება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონსა და საერთო სამაგისტრო გამოცდების რეგულაციებს.

ჩარიცხვისთვის დადგენილი წინაპირობები კომპლექსურია და მოიცავს პორტფოლიოს წარდგენას, გასაუბრებას, სპეციალობის გამოცდასა (კომპოზიცია) და უცხო ენის ცოდნის დადასტურებას B2 დონეზე. აღნიშნული კრიტერიუმები ლოგიკურ კავშირშია სწავლების მეშვიდე დონესთან და ხელოვნების მაგისტრის კვალიფიკაციასთან. პორტფოლიოსა და

გასაუბრების მეშვეობით ხდება აპლიკანტის კვლევითი ინტერესებისა და შემოქმედებითი მზაობის შეფასება, რაც უზრუნველყოფს პროგრამის წარმატებით ათვისებას.

დაწესებულება იყენებს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობის ოპტიმალურ თანაფარდობას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კერამიკის სპეციფიკიდან გამომდინარე, სადაც ინდივიდუალური მუშაობა და სახელოსნო რესურსების (ღუმელები, დაზგები) სწორი განაწილება კრიტიკულია.

პროცესის საჯაროობა უზრუნველყოფილია აკადემიის ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით, სადაც განთავსებულია ინფორმაცია მისაღები გამოცდებისა და მობილობის წესების შესახებ. აპლიკანტებისთვის ასევე მოქმედებს საკონსულტაციო სერვისები. წინა შეფასების ანგარიშის ანალიზმა აჩვენა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ამ კომპონენტზე რეკომენდაციები არ გაუცია, რაც ასევე მიუთითებს იმაზე, რომ სამაგისტრო საფეხურზე დაშვების წინაპირობები დადგენილ სტანდარტებს შეესაბამება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები;

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ სტანდარტ 2.2. მიმართებაში გაცემულ კლასტერის საერთო რეკომენდაციაზე, "რეკომენდებულია სტუდენტებმა უნდა მიიღონ ინფორმაცია ვორქშოფების, კრეატიული პროექტების და შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებითი აქტივობების შესახებ ფაკულტეტის ელ. ფოსტის საშუალებით. ხელი მოეწეროს დეტალურ მემორანდუმებს სტუდენტებისთვის, სტაჟირების ობიექტებთან და დამსაქმებლებთან სტაჟირების გავლის თაობაზე. რეგულარულად ჩატარდეს კურსდამთავრებულთა გამოკითხვები პროგრამის გასაუმჯობესებლად შედეგების გასაანალიზებლად" აკადემიის სამუშაო ჯგუფმა სრულად შეასრულა რეკომენდაციასთან მიმართებით სამუშაოები, რაც დასტურედება გადმოგზავნილ დოკუმენტაცია და მონიტორინგის დროს ჩატარებული ინტერვიუებით. მემორანდუმების ნაწილში ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ აკადემიამ გააფორმა ახალი მემორანდუმი "საქართველოს მხატვართა კავშირთან", რომელიც ითვალისწინებს სტუდენტებისთვის ხელშეწყობას და მაქსიმალურ თანადგომას შემოქმედებითი პროექტების, ვორშოპის და გამოფენის დაგეგმვა განხორციელების ფარგლებში. ასევე გაფორმდა მემორანდუმი "კერამიკულ საწარმოსთან", რომელიც ანალოგიურ თანადგომას და მხარდაჭერას აღუქვამს აკადემიის მხატვრული კერამიკის მიმართულების სტუდენტებს. აღსანიშნავია, რომ ორივე მემორანდუმი ვალიდურია და მიემართება სასწავლო პროგრამის ორივე საფეხურს. აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით დოკუმენტები წარმოდგენილია MA 02 დანართში. სტაჟირებასთან და პრაქტიკასთან მიმართებით სასწავლო პროგრამების ორივე საფეხურის სტუდენტებისთვის წარმოდგენილია მემორანდუმების სახით MA 02 დანართში, გაფორმებულია "White studio"-სთან და შ.პ.ს "გენა"-სთან მოცემული რეკომენდაციის დასკვნით ნაწილთან ჩატარებული სამუშაობეის მტიკებულება, რაც მიუთითებს სტუდენტებისთვის სწრაფ ინფორმირებას ვორქშოპებთან, Erasmus+ გაცვლით პროგრამებთან და სტაჟირებასთან დაკავშირებით დოკუმენტები მოცემულია MA 012 დანართში.

მონიტორინგის ვიზიტის დროს ინტერვიუების მსვლელობისას ხელმძღვანელების და სტუდენტეის მხრიდან აღინიშნა, რომ ინფორმაციის გაზიარება სხვადასხვა აქტივობებთან და გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით სტუდენტებისთვის ხდებოდა, ასევე ჯგუფში, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პარალელურად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- MA 012 დანართი;
- MA 02 დანართი;
- ინტერვიუების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამხატვრო აკადემიის წარმოდგენილ ანგარიშში მოცემული სტანდარტის 2.3. კლასტერის საერთო რეკომენდაციასთან "რეკომენდებულია მეტი მხარდაჭერა და ფინანსური რესურსების მოძიება, რათა ხელი შეეწყოს პედაგოგთა მობილობას და მეტი შესაძლებლობების შექმნას მოწვეული ლექტორების მოსაწვევად, რაც დაემატება

გამოყენებული მეთოდების დიაპაზონს. მიზანშეწონილი იქნება სტუდიების/სახელოსნოების ციფრული ეკრანებით უზრუნველყოფა, რათა პედაგოგებმა სტუდენტებისთვის ლექციები თანამედროვე და ადვილად გასაგები ფორმით წარადგინონ" მიმართებაში ჩატარებულ სამუშაობთან დაკავშირებით სრულად იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია. მასწავლებლის მობილობასთან დკავშირებით და უცხოეთში პროფესიული განვითარების ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ წარმოდენილია დოკუმენტები, რომლებიც მოთავსებულია , Erasmus ფაილში, MA 012 დანართში. ხოლო, უცხოელი პერსონალის მოწვევასთან დაკავშირებით წარმოდგენილია დოკუმენტი "ინტერნაციონალიზაცია -მხატვრული კერამიკა" MA 021 - 013 დანართში, სადაც დეტალურადაა გაწერილი და დაგეგმილი 5 წლის სამუშაობები საერთაშორისო ჩართულობით. ასევე რეკომენდაციასთან მიმართებაში ფაკულტეტს ჰყავს უცხოელი დარგის სპეციალისტი, მოწვეული პროფესორი, ავტორი ინგლისურენოვანი წიგნის, რომელიც სპეციალურად აკადემიის მხატვრული კერამიკის ფაკურტეტისთვის შეიქმნა და შევიდა სასწავლო პროგრამის ძირითად ლიტერატურაში. აღნიშნულ ინფორმაციასთან მიმართებაში დოკუმენტი წარმოდგენილია დანართში 09- დატვირთავა (I-II სმესტრი).

რეკომენდაციის ბოლო ნაწილში სადაც მოწოდებულია, რომ "პედაგოგებმა სტუდენტებისთვის ლექციები თანამედროვე და ადვილად გასაგები ფორმით წარადგინონ" ფაკულტეტმა შეიძინა დამატებით 5 პერსონალური კომპიუტერი, რომლის დახმარებით და გამოყენებით უზრუნველყოფენ მიმდინარე სასწავლო პროცესის თანამედროვე და საინტერესო სიახლის გაზიარების მარტივ ფორმატს. აღნიშნულ ინფორმაციასთან მიმართებაში ინფორმაცია დაადსტურეს მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ინტევიუების პროცესში და დოკუმენტის სახით წარმოდგენილია დანართში 018 - შესყიდვები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- MA 021 - 013 დანართი;
- MA 021 - დანართი 018 - შესყიდვები;
- დანართი 09- დატვირთავა (I-II სმესტრი);
- Erasmus ;
- MA 012 დანართი;
- ონიტორინგის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები;

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარდგენილი დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ექსპერთა ჯგუფის ვიზიტის შედეგების საფუძველზე, აკადემიაში მოქმედი სტუდენტთა შეფასების სისტემა შეესაბამება საკანონმდებლო რეგულაციებით დადგენილ მოთხოვნებთან. დაწესებულებაში დანერგილია შეფასების 100-ქულიანი სისტემა, სადაც 100 ქულა არის მაქსიმალური დადებითი შეფასება, ხოლო 51 ქულა — მინიმალური გამსვლელი ქულა. არსებობს დადებითი შეფასების ხუთი კატეგორია: A (91-100), B (81-90), C (71-80), D (61-70), E (51-60), და უარყოფითი შეფასების ორი კატეგორია: FX (41-50) და F (0-40). დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტმა შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულათა ჯამით დააგროვა მინიმუმ 51 ქულა. სტუდენტს, რომელმაც ვერ ჩააბარა დასკვნითი გამოცდა და მიიღო FX შეფასება, უფლება აქვს იმავე სემესტრში გავიდეს დამატებით გამოცდაზე, ძირითადი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.

კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია განისაზღვროს შუალედური შეფასების კომპონენტები; ამ კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორი.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს სასწავლო პროცესისა და სტუდენტთა შეფასების ადმინისტრირებას. ეს დოკუმენტები მოიცავს წინასწარ განსაზღვრულ პროცედურებს. შეფასების პროცედურის

ხელმისაწვდომობა და წინასწარ განსაზღვრული ხასიათი უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას სტუდენტებისთვის. გარდა ამისა, თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყენებული შეფასების კონკრეტული მეთოდები აისახება თითოეული კურსის სილაბუსში.

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომს, მისი შეფასება ხორციელდება კოლეგიალურად. პროცესში ჩართულია ხელმძღვანელი, რომელიც უზრუნველყოფს განმავითარებელი უკუკავშირის გაზიარებას ნაშრომზე მუშაობისას და კომისია, რომელიც ახდენს სტუდენტის მიერ წარდგენილი ნაშრომის საბოლოო შეფასებას. ამასთან აღსანიშნავია, რომ შემფასებელი კომისიის ერთ-ერთი წევრი სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელია.

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაასაჩივრონ შეფასება უნივერსიტეტში არსებული გასაჩივების მექანიზმის გამოყენებით. თუმცა, სტუდენტებთან ინტერვიურების დროს, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ გასაჩივრების მექანიზმს ნაკლებად იყენებენ, უშუალოდ ლექტორთან კომუნიკაციით ცდილობენ საკითხების დაზუსტებას შეფასებებთან დაკავშირებით. აქვე, აღსანიშნავია, რომ სტუდენტებთან გასაურების დროს აღინიშნა, რომ ისინი ლექტორებისგან იღებენ უკუკავშირს მიღებულ შეფასებებთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- გასაუბრება სტუდენტებთან;

რეკომენდაციები

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.4 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება, ეყრდნობა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და სტუდენტებთან ჩატარებულ ინტერვიუებს. ზემო აღნიშნული ადასტურებს, რომ აკადემიაში არსებობს მექანიზმები სტუდენტთა მხარდასაჭერად.

მიუხედავად იმისა, რომ წინა კლასტერული აკრედიტაციისა და შეფასების პროცესში სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისების ნაწილში არ იყო გაცემული გაცემული რეკომენდაცია, რომელზეც მონიტორინგის ვიზიტის დროს მოხდებოდა ფოკუსირება, ვიზიტის მიმდინარეობისას გამოიკვეთა რიგი გარემოებები, რომელთა განხილვა დიდი მნიშვნელობის მქონეა.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი მუდმივად იღებენ შეტყობინებებს გაცვლითი პროგრამების, ვაკანსიებისა და სხვა აქტივობების შესახებ უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის საშუალებით. პროცესში ჩართულმა პირებმა ხაზი გაუსვეს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მხარდაჭერას დასაქმების კუთხით. მათ განაცხადეს, რომ ლექტორები თავად აძლევენ რეკომენდაციებს და ეხმარებიან სამუშაო ადგილის მოძიებაში.

რაც შეეხება სტუდენტების ინფორმირებასა და ცნობიერების ამაღლებას, ინტერვიუებმა გამოავლინა დაბალი ინფორმირებულობა უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო ბაზების შესახებ. გამოკითხულმა საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებმა ვერ

დაასახელეს კონკრეტული სამეცნიერო ბაზები. სამეცნიერო ბაზების ცოდნა და გამოყენება მნიშვნელოვანია სტუდენტის განვითარებისთვის, განსაკუთრებით მაგისტრატურისა საფეხურის სტუდენტებისთვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს ძალისხმევა ამ მიმართულებით, რათა აამაღლოს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების ცნობიერება სამეცნიერო ბაზების მნიშვნელობისა და გამოყენების შესახებ. ასეთივე სურათი გამოიკვეთა აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატთან დაკავშირებით. სტუდენტებმა სესიის მიმდინარეობისას აღნიშნეს, რომ მათ მწირი ინფორმაცია ჰქონდათ ამ მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ სესიაზე დამსწრე რამდენიმე სტუდენტმა, რომლებიც კონკრეტულ პროგრამაზე მობილობის გზით გადმოვიდნენ თქვეს, რომ არ ჰქონდათ უნივერსიტეტის კომპორატიული ელ-ფოსტა და ლექტორებთან საკომუნიკაციოდ პირად ელ-ფოსტას იყენებენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა ყველა სტუდენტისთვის უზრუნველყოს კორპორატიული (საუნივერსიტეტო) ელექტრონული ფოსტის შექმნა და მისი გამოყენება ოფიციალური კომუნიკაციისთვის. ეს მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს ინფორმაციის მიწოდების უსაფრთხოებასა და ეფექტიანობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები

[რეკომენდაციები](#)

- რეკომენდებულია, აკადემიამ გააძლიეროს მუშაობა სტუდენტების ცნობიერების ასამაღლებლად აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატთან დაკავშირებით.

- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა ყველა სტუდენტისთვის უზრუნველყოს კორპორატიული (საუნივერსიტეტო) ელექტრონული ფოსტის შექმნა და მისი გამოყენება ოფიციალური კომუნიკაციისთვის. ეს მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს ინფორმაციის მიწოდების უსაფრთხოებასა და ეფექტიანობას.

- რეკომენდებულია, აკადემიამ აამაღლოს სამაგისტრო საფეხურის სტუდენტების ცნობიერება სამეცნიერო ბაზების მნიშვნელობისა და გამოყენების შესახებ.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.1 სტუდენტების შეფასება	მეტ-წილად შესაბამისობაშია

3.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებს.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღსანიშნავია, რომ წინა კლასტერული აკრედიტაციის დროს, როდესაც განხორციელდა მხატვრული კერამიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება გაიცა რიგი რეკომენდაციები მაგისტრანტთა ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით. რეკომენდაციები ეხებოდა ინტერნაციონალიზაციის მნიშნელობასა და უცხოეული პერსონალის მონაწილეობას სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობის პროცესში. ამ მიმართულებით აღსანიშნავია, რომ წინა შეფასების შემდეგ, განხორციელდა რამდენიმე უცხოელი ლექტორის ვიზიტი აკადემიაში, ჩატარდა საჯარო შეხვედრები. ასევე, სესიაზე დამსწრე სტუდენტებმა დაადასტურეს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა, ასევე ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებზე დასწრება. მიღებული გამოცდილება კი მათ დაეხმარება როგრორც ნაშრომზე მუშაობის ასევე, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების პროცესში.

აქვე, მნიშვნელოვანია, რომ მაგისტრანტთა ხელმძღვანელები აქტიურად თანამშრომლობენ სტუდენტებთან ნაშრომებზე მუშაობის პროცესში. სტუენტები კონკრეტული პერიოდულობით იღებენ უკუკავშრის.

მაგისტრანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	4
მაგისტრანტების რაოდენობა	4
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	1

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- · სამაგისტრო პროგრამის დებულება
- · ხელმძღვანელის მოვალეობები
- · აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები

რეკომენდაციები

- –

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- –

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
3.2_____მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-

კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღსანიშნავია, რომ წინა კლასტრული აკრედიაციის პროცესში, აღნიშნულ ქვესტანდარტთან დაკავშირებით გაცემული იყო რეკომენდაცია პერსონალის ჩართულობის საჭიროებასთან დაკავშირებით საერთაშორისო პროექტებსა და აქტივობებში. აკადემიის მიერ წარმოდგენილი 2023, 2024 და 2025 წლების პერსონალის აქტივობების ანალიზი მიუთითებს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მზარდ დინამიკაზე. აღნიშნულ პროცესში, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან ყურადღება გამახვილდა მხატვრული კერამიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში ჩართულ პერსონალზე. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განხორციელდა პერსონალის პირადი საქმეების ხელახალი შესწავლა, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ მათი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება დაკავებულ პოზიციებსა და არსებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პერსონალის პროფესიული კომპეტენცია რელევანტურია მხატვრული კერამიკის სპეციფიკასთან, რაც ქმნის საფუძველს პროგრამების ეფექტიანი განხორციელებისთვის. ამასთან, აღსანიშნავია, რომ როგორც საბაკალავრო ისე სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია რელევანტურია პროგრამის საჭიროებასა და არსებულ საკანონმდებლო რეგულაციებთან.

აკადემიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, 2025 წლისთვის ინტრნაციონალიზაციის აქტივობებმა უფრო ინტენსიური სახე მიიღო. აღნიშნული პროგრესი აღინიშნა მონიტორინგის ვიზიტის დროს, სადაც სესიებზე მონაწილე პეროსნალის მხრიდან აღინიშნა აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, კერძოდ, ერაზმუსის (Erasmus+) ფორმატში. პერსონალთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ მობილობები არ შემოიფარგლება მხოლოდ ფორმალური ვიზიტებით; ისინი ორიენტირებულია მხატვრული კერამიკის სფეროში არსებული თანამედროვე ევროპული გამოცდილების, და სწავლების მეთოდოლოგიების გაზიარებაზე. აკადემიური პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო აქტივობებში პირდაპირ აისახება საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სასწავლო პროცესზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის აქტუალური ცოდნის გაზიარებას. ამდენად, პერსონალის კვალიფიკაციისა და მათი საერთაშორისო აქტივობის დინამიკა ადასტურებს აკადემიის მზაობას, განავითაროს მხატვრული კერამიკის მიმართულება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[5]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[6]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**7**	**7**	**0**	**4**
- პროფესორი	**1**	1	0	1
- ასოცირებული პროფესორი	**3**	3	0	3
- ასისტენტ-პროფესორი	**0**	0	0	0
- ასისტენტი	**0**	0	0	0
მოწვეული პერსონალი	**3**	3	0	0
სამეცნიერო პერსონალი	**0**	0	0	0
მათ შორის, საერთაშორისო პერსონალი	**0**	0	0	0

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის პირადი საქმეები;
- საბაკალავრო მიმართულებით განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- სამაგისტრო მიმართულებით განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

[რეკომენდაციები]

-

[5] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[6] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- –

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხონებთან

4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამხატვრო აკადემიის მიერ გაზიარებულ დოკუმენტებში, კერძოდ MA 014 დანართში წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის მეორე საფეხურზე ჩართული აკადემიური პერსონალის და მოწვეული პედაგოგების CV-ები, მათი დატვირთვები განათლების საფეხურის და სემესტრის მიხედვით. აღნიშნულ დოკუმენტებზე დაყრდნობით მხატვრული კერამიკის ფაკულტეტზე, მაგისტრატურის საფეხურზე 4 აკადემიური პერსონალი და 7 მოწვეული პედაგოგი წარმართავს სასწავლო პროცესს. მათგან ოთხს აქვს დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხი, ასოცირებული პროფესორია სამი, ხოლო ერთი სამეცნიერო, აფილირებული აკადემიური პერსონალი. მათ პირად რეზიუმეზე დაყრდნობით და მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუებიდან გამომდინარე სამხატვრო აკადემიის სასწავლო პროგრამა, მხატვრული კერამიკის ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხური სრულად დაკომპლექტებულია მაღალი კომპეტენციის და დიდი, როგორც საერთაშორისო ასევე ადგილობრივი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალით და მოწვეული პედაგოგებით.

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი

		დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**1**	**1**	**1**
- პროფესორი	2	1	1
- ასოცირებული პროფესორი	3	3	3
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი	7	1	
სამეცნიერო პერსონალი	1	1	1

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- MA 014 დანართი
- CV

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია]	შესაბამისობაშია

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.

- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წინა კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები ხაზს უსვამდა პერსონალის ინფორმირებულობის გაზრდის აუცილებლობას ელექტრონული კომუნიკაციის არხების მეშვეობით, ისევე როგორც პერსონალის რეგულარული გამოკითხვების ჩატარების საჭიროებას. მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები ეფექტურად სრულდება: პერსონალი ადასტურებს, რომ მუდმივად იღებს შეტყობინებებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიმდინარე სიახლეების, აქტივობების, საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებისა და პროექტების შესახებ. პერსონალთან გასაუბრებისას ასევე გამოიკვეთა, რომ ისინი რეგულარულად იღებენ მონაწილეობას გამოკითხვებში, რაც ინსტიტუციური კვლევის განუყოფელი ნაწილია. გარდა ამისა, აკადემიაში პერიოდულად ეწყობა სამუშაო შეხვედრები, სადაც პერსონალი აქტიურად არის ჩართული მხატვრული კერამიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განვითარების საკითხების განხილვაში.

აღნიშნული სისტემა ქმნის საფუძველს ინტერნაციონალიზაციის პროცესისთვის, რაც დასტურდება აკადემიის მიერ წარმოდგენილი 2023, 2024 და 2025 წლების პერსონალის აქტივობებით. მონიტორინგის ვიზიტის დროს განსაკუთრებით აღინიშნა პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, კერძოდ Erasmus+-ის ფარგლებში, რაც ხელს უწყობს მხატვრული კერამიკის პროგრამების მოდერნიზაციას და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული გამოცდილება სრულად შეესაბამება მხატვრული კერამიკის სპეციფიკას, რაც პერსონალის განვითარებისკენ მიმართულ ტრენინგებთან და საინფორმაციო შეხვედრებთან ერთად, უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო პროექტებსა და პროფესიული განვითარების აქტივობებში პირდაპირ აისახება სწავლა-სწავლების ხარისხზე სამაგისტრო საფეხურზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ○ პერსონალის პროფესიული განვითარების აქტივობათა ჩამონათვალი (2023, 2024, 2025)
- ○ ინტერვიუს შედეგები;
- ○ პერსონალის გამოკითხვის შედეგები.

[რეკომენდაციები]

- –

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- –

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მხატვრული კერამიკის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობისთვის საჭირო რესურსებით. მაგისტრანტებისთვის ხელმისაწვდომია სპეციალიზებული ლაბორატორიული სივრცეები, რომლებიც ორიენტირებულია ტექნოლოგიურ ექსპერიმენტებსა და მასალათმცოდნეობაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2024 წლის ბოლოს შეძენილი და დამონტაჟებული მაღალტემპერატურიანი (1300°C) ელექტრო ღუმელი, რომელიც საშუალებას იძლევა დამუშავდეს ფაიფურის მასები და შედგენილი კლინკერის თიხები, რაც პროგრამის კვლევითი კომპონენტის განუყოფელი ნაწილია.

პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს წვდომას საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებსა და თანამედროვე სამეცნიერო პერიოდიკაზე. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან საჭირო ინსტრუმენტებითა და

მასალებით, რაც გამორიცხავს შეფერხებებს პრაქტიკული კვლევისას. აკადემიაში დანერგილია მატერიალური სურსების განახლების სისტემური მიდგომა, რაც გულისხმობს როგორც ინფრასტრუქტურულ გაუმჯობესებას (სამუშაო სივრცეების გაფართოება, სტელაჟების განახლება), ისე ტექნოლოგიურ პროგრესს. სტუდენტები არიან ინფორმირებულნი რესურსების გამოყენების წესების შესახებ და აქვთ თავისუფალი წვდომა სახელოსნოებზე ინდივიდუალური მუშაობის რეჟიმში.

წინა შეფასებისას გაიცა რეკომენდაციები ტექნიკური ბაზის განვითარებისა და სილაბუსებში მითითებული წიგნების ელექტრონულ ბაზებში განთავსების შესახებ. რეკომენდაციები შესრულებულია: სამაგისტრო საფეხურისთვის შეძენილია სპეციფიკური მაღალტექნოლოგიური ღუმელი, რაც უზრუნველყოფს კვლევის ახალ დონეს. ასევე, გაუმჯობესდა წვდომა ციფრულ რესურსებზე და შეიქმნა ახალი სასწავლო ლიტერატურა, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით. შესრულებულია რეკომენდაცია სემინარების მასალებითა და ინსტრუმენტებით უზრუნველყოფის თაობაზე, რაც დადასტურდა სტუდენტებთან ინტერვიუსას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინფორმაცია ლაბორატორიული აღჭურვილობის შესახებ;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგები და საერთაშორისო ბაზებზე წვდომა;
- კვლევითი ლაბორატორიის მოწყობის გეგმა და სარემონტო სამუშაოების ამსახველი დოკუმენტაცია;
- პერსონალური კომპიუტერული ტექნიკის (ლეპტოპების) გადაცემის აქტები;
- ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.4. მატერიალური რესურსი	აირჩიეთ შესაბამისი

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მხატვრული კერამიკის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი მორგებულია სწავლების მეშვიდე საფეხურის სპეციფიკას და უზრუნველყოფს კვლევითი კომპონენტების მხარდაჭერას. პროგრამის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს 12 მაგისტრანტის სწავლის საფასური, რაც 27,000 ლარს შეადგენს. პროგრამის ფინანსურ მდგრადობას მნიშვნელოვნად განაპირობებს ინსტიტუციური მხარდაჭერა, რაც გულისხმობს აკადემიის მხრიდან აკადემიური პერსონალის ხელფასებისა და ინფრასტრუქტურული ხარჯების სრულ დაფარვას საბიუჯეტო ასიგნებებიდან.

ბიუჯეტში ასახულია როგორც მუდმივი, ისე ერთჯერადი მხარდაჭერის წყაროები. კვლევით საქმიანობისთვის გამოყოფილია 3,500 ლარი, ხოლო სასწავლო პრაქტიკისა და ვორქშოფებისთვის ჯამში 4,400 ლარია გათვალისწინებული. პროგრამა ინარჩუნებს ფინანსურ წონასწორობას და მცირე დადებით ბალანსს (452 ლარი), რაც ინსტიტუციურ მხარდაჭერასთან ერთად უზრუნველყოფს მის სტაბილურ და გრძელვადიან ფუნქციონირებას. ფინანსური რესურსების გამოყოფა ეფუძნება პროგრამის საჭიროებებს, მათ შორის სპეციფიკური ინსტრუმენტებისა და ლაბორატორიული მასალების პერიოდულ განახლებას.

წინა შეფასებისას გაიცა რეკომენდაცია ბიუჯეტის მეტი დეტალიზაციისა და პროგრამული უზრუნველყოფის თუ ტრენინგების ხარჯების ცალკე გამოყოფის შესახებ. აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია: წარმოდგენილ ბიუჯეტში ხარჯები დიფერენცირებულია კატეგორიების მიხედვით, რაც ფინანსების გამჭვირვალე მართვის საშუალებას იძლევა. დაწესებულებამ წარმოადგინა თითოეული პროგრამისთვის ინდივიდუალური ბიუჯეტი, რაც პასუხობს ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და ექსპერტთა მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსების წყაროები;
- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ბიუჯეტი;
- მხატვრული კერამიკის სამაგისტრო პროგრამის დეტალური ბიუჯეტი (2024-2025 წწ.);
- მაგისტრანტებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები;

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა]	აირჩიეთ შესაბამისი

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ხარისხის შიდა შეფასება წარმოადგენს პროგრამის ხელმძღვანელებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგს. პროგრამის პერსონალი აქტიურად მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტების (მაგ. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობის შეფასების კითხვარი) შემუშავებასა და შედეგების ანალიზში. სწავლების ხარისხის განვითარება ეფუძნება PDCA ციკლს, სადაც მაგისტრანტების მიერ კვლევითი კომპონენტის შეფასება და ხელმძღვანელების მუშაობის მონიტორინგი ცენტრალურ ადგილს იკავებს. თვითშეფასების ანგარიშის მომზადებისას უზრუნველყოფილი იყო ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის დამსაქმებლებისა და მაგისტრანტების, რეალური ჩართულობა.

შიდა ხარისხის შეფასების შედეგები პირდაპირ აისახება სამაგისტრო პროგრამის განვითარებაზე. მაგალითად, სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე განხორციელდა კვლევითი მეთოდოლოგიის კომპონენტის გაძლიერება და თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირება სასწავლო პროცესში. ხარისხის სამსახური პერმანენტულად ადევნებს თვალს თვითშეფასების ანგარიშის მომზადებისას გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორებას. ელექტრონული სწავლების კომპონენტისთვის უსდ-მ დანერგა მონიტორინგის შესაბამისი მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის კონტროლს ციფრულ გარემოშიც. პროგრამაზე მუშაობისას განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ხარისხის კულტურის ამაღლებაზე, რაც წინა შეფასების ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია იყო.

წინა შეფასებისას ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია ხარისხის კულტურის გაძლიერებისა და პერსონალის ინფორმირებულობის გაზრდის შესახებ. რეკომენდაცია გათვალისწინებულია და პროცესი მიმდინარეობს: 2024 წელს ჩატარდა ტრენინგები ინოვაციური პროგრამების შესახებ, გაუმჯობესდა კომუნიკაცია ელექტრონული ფოსტისა და შიდა ბაზების მეშვეობით. მიუხედავად ამისა, კვლავ რჩება საჭიროება, რომ ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზი უფრო მეტად იყოს დიფერენცირებული ინდივიდუალური პროგრამის დონეზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და თვითშეფასების ანგარიში;
- მაგისტრანტთა ხელმძღვანელობის შეფასების მექანიზმი და შედეგები;
- დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები) გამოკითხვის ანგარიშები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული ყოველწლიური ანალიტიკური დოკუმენტები;
- ფაკულტეტის საბჭოს ოქმები პროგრამის მოდიფიკაციის შესახებ;
- ინტერვიუები მაგისტრანტებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან.

[რეკომენდაციები](#)

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- **სასურველია გაგრძელდეს მუშაობა ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზი უფრო მეტად ინდივიდუალური პროგრამის დონეზე დიფერენცირებისათვის.**

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[5.1. შიდა ხარისხის შეფასება](#)	აირჩიეთ შესაბამისი

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე

დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

-

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
5.2. გარე ხარისხის შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მხატვრული კერამიკის სამაგისტრო პროგრამის მონიტორინგის პროცესი ორიენტირებულია სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხის შენარჩუნებაზე. შეფასების პროცესში ჩართულია აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, მაგისტრანტები და გარე ექსპერტები. მონიტორინგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია მაგისტრანტების მიერ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისა და სამეცნიერო ხელმძღვანელობის შეფასება. ეს მექანიზმი საშუალებას იძლევა, დადგინდეს კვლევითი პროცესის ეფექტურობა და

საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს შესაბამისი კორექტირება ხელმძღვანელობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის პერიოდული გადახედვა მოიცავს მის შედარებას საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტებთან და უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილებასთან, რაც აისახება სამაგისტრო ნაშრომების კვლევითი მეთოდოლოგიის დახვეწაში. სტუდენტები ყოველი სემესტრის ბოლოს აფასებენ სასწავლო კურსებს, ხოლო მიღებული შედეგები განიხილება პროგრამის ხელმძღვანელებისა და ხარისხის სამსახურის მიერ. პროგრამის ეფექტურობის შესაფასებლად გამოიყენება ისეთი ინდიკატორები, როგორიცაა მაგისტრანტთა მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში, გამოფენებსა და სამეცნიერო კონფერენციებში. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ხდება პროგრამის შინაარსის მოდიფიცირება, რათა ის სრულად პასუხობდეს შრომის ბაზრისა და სახელოვნებო კვლევის თანამედროვე მოთხოვნებს.

წინა აკრედიტაციისას ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს პროგრამის დონეზე შედეგების ანალიზის აუცილებლობას, რადგან ფაკულტეტის დონეზე განზოგადებული ანგარიშები არ იძლეოდა სამაგისტრო პროგრამისთვის საჭირო სპეციფიკურ მიგნებებს. ეს რეკომენდაცია შესრულებულია: აკადემიამ დანერგა პროგრამული დონის ანალიზის პრაქტიკა, რამაც ხელი შეუწყო სამაგისტრო საფეხურზე კვლევითი და პრაქტიკული კომპონენტების უფრო მიზნობრივ განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სამაგისტრო პროგრამის მონიტორინგის შედეგები და რეაგირების ანგარიშები;
- მაგისტრანტთა მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და კვლევითი კომპონენტის შეფასების შედეგები;
- პროგრამის საერთაშორისო ბენჩმარკინგის დოკუმენტაცია;
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა უკუკავშირის ანალიზი;
- პროგრამის ეფექტურობის კომპლექსური ინდიკატორები (დასაქმება, კვლევითი აქტივობა);
- ინტერვიუს შედეგები;

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ლეილა გრიგოლია



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

თამთა ლეკიშვილი

ნინო ღაჭავა